SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

ივლისი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№19

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ტყიბულის ამბები / იმერეთის სიახლეები / ღონისძიებები

ახალი მომპოვებელი უბანი ექსპლუატაციისთვის 600 000 ტონა ქვანახშირს მოამზადებს

გვ.2

27-28 აგვისტოს ტყიბულქალაქობა და მეშახტის დღე აღინიშნება

გვ.2

2022 წელს ტყიბულში 79 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება!

გვ.5

მეშახტეებს შორის სპორტული თევზაობის შეჯიბრი ჩატარდა

გვ.7



ახალი მომპოვებელი უბანი ექსპლუატაციისთვის 600 000 ტონა ქვანახშირს მოამზადებს

„საქნახშირის“ მიწისქვეშა კომპლექსში აქტიურად მიმდინარეობს რეაბილიტაციისა და განახლების სამუშაოები, რაც გადაიარაღებას და ახალი ამოსაღები ველების მომზადებას ითვალისწინებს. დაგეგმილია ახალი მომპოვებელი უბნის გახსნა, რომელიც საექსპლუატაციოდ დაახლოებთ 600 000 ტონა ქვანახშირს მოამზადებს.

გარდა ამისა, 2022 წლის 1 სექტემბრიდან 175 ჰ. I ველის მომზადება და ექსპლუატაციაში ჩაშვება არის დაგეგმილი. აღნიშნულ ველში 300 000 ტონა ქვანახშირია მომზადებული.

რაც შეეხება მიმდინარე სამუშაოებს:

- ✓ *ახალი მოპოვებითი უბნების მოსამზადებლად მე-15 შუროს გაყვანითი სამუშაოები დაიწყო*
- ✓ *სასკიპე და საპულპე ჭაურებში სარემონტო სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს*
- ✓ *დამხმარე ჭაურში 219 მმ მილგაყვანილობის მონტაჟი სრულდება (წყლის ამოსატუმბად)*
- ✓ *დალამვის კომპლექსზე აუზის ნარჩენებისგან გასუფთავების სამუშაოები ჩატარდა, შეიცვალა მილგაყვანილობი შემრევიდან ჭაურამდე*
- ✓ *მე-19 ველზე, ლამის მისაწოდებლად, 1 კილომეტრზე მეტი მილგაყვანილობის იზოლირებული, ახალი ხაზი დამონტაჟდა*
- ✓ *დასაქმებულების გადაყვანის მიზნით, მე-19 ველზე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს (მზადდება სახალხო ვაგონები)*

ფეხბურთის შიდა ჩემპიონატის ფინალი აგვისტოს ბოლოს გაიმართება!

„საქნახშირის“ სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში მეშახტეებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები გაიმართა. შეჯიბრში ათამდე საფეხბურთო გუნდის 120 მდე მეშახტე მონაწილეობდა.

18 -19 აგვისტოს გამართულ ტურში 8 საფეხბურთო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თამაში ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს 24 და 27 აგვისტოს, ნახევარფინალში და ფინალში დაუპირისპირდებიან.

27 აგვისტოს გამარჯვებული გუნდები, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო მეკარე გამოვლინდებიან. „საქნახშირი“ გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელებს და ფულად ჯილდოებს გადასცემს.

27-28 აგვისტოს ტყიბულქალაქობა და მეშახტის დღე აღინიშნება!

2022 წელს ტყიბულს განსაკუთრებული მეშახტის დღე და ტყიბულქალაქობა ექნება. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ტყიბულქალაქობა 27 აგვისტოს გაიმართება, მეშახტის დღე კი ტრადიციისამებრ, აგვისტოს ბოლო კვირას, 28 აგვისტოს აღინიშნება.

27 აგვისტოს ტყიბულქალაქობის ღონისძიება მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს, მათ შორის სპორტულ, კულტურულ და გასართობ ღონიძებებს. დასკვნით კონცერტზე მაყურებლის წინაშე ადგილობრივი ანსამბლები წარსდგებიან, საღამო კი ნატო გელაშვილის კონცერტით დასრულდება.

გასართობი ღონისძიებები გაგრძელდება 28 აგვისტოსაც. კოსტიუმირებული წარმოდგენებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი შოუს შემდეგ "ქართული ხმებისა" და "ღამის შოუს ბენდის" კონცერტი გაიმართება.

ირაკლი გოჩელაშვილი

ჩვენი გუნდის ახალი წევრი

ირაკლი გოჩელაშვილი „საქნახშირის“ აფეთქებითი სამუშაოების წარმოების უბნის მიწისქვეშა ოსტატ-ამფეთქებელია. გავლილი აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და „საქნახშირის“ სასწავლო ცენტრის ოსტატ-ამფეთქებლის კურსები. უკვე წელიწადნახევარია აკეთებს საქმეს, რომელიც უდიდეს პროფესიონალიზმს, ცოდნას და გამოცდილებას საჭიროებს. საქმეს, რომელშიც გამონაკლისები და შეცდომები დაუშვებელია. სწორედ ამ წესების დაცვით და დიდი ერთგულებით ემსახურება ირაკლი სამთო სფეროს.

ირაკლი გოჩელაშვილი: „რამდენიმე წელი საზღვარგარეთ ვიყავი წასული მაგრამ სახლში დაბრუნება გადავწყვიტე, მეუღლესთან და შვილებთან. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შახტში დავიწყე მუშაობა. ფაქტობრივად, შახტამ დამაბრუნა ოჯახში. მალევე შევეჩვიე სამუშაოს და კოლექტივს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ქალაქში ვცხოვრობ და ვსაქმიანობ, საყვარელ ადამიანებთან ახლოს ვარ. თამამად ვიტყვი, რომ მიყვარს ჩემი პროფესია და სამსახური.“

ნიკა კირკიტაძე

4 წელი „საქნახშირში“

ნიკა კირკიტაძე განათლებით სამთოელია. მან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი ელმავლის მემანქანის სპეციალობით დაამთავრა. შახტში მუშაობა 2015 წელს დაიწყო. 4 წელი საშახტო აწევაზე მუშაობდა და მეშახტეების უსაფრთხო ტრანსპორტირებაზე იყო პასუხისმგებელი. ამჟამად საშახტო ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა მებუნკერე-გამგორეა. მისი მამა, დათო კირკიტაძეც ყოფილი მეშახტეა, ასე რომ, ნიკა ოჯახის ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს.

ნიკა კირკიტაძე: „ჩემი პირველი სამსახური შახტა იყო, 20 წლის ვიყავი აქ რომ მოვედი. წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციებზე ვიმუშავე. შემდეგ, რამდენიმე წლით თბილისში წავედი. ერთი წლის წინ დავქორწინდი, ჩემი მეუღლეც ტყიბულელია. ამიტომ, ორივემ ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მშობლიურ ქალაქში, ჩვენს ოჯახში დავბრუნებულიყავით. ტყიბულში დაბრუნებულმა, რა თქმა უნდა, ისევ შახტში გადავწყვიტე მუშაობა. აქ არიან ჩემთვის უახლოესი ადამიანები და საუკეთესო მეგობრები. მათთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას, რომ გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და პროფესიული საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა მომცა.“

შოთა ნატროშვილი

ჩვენი გუნდის ახალი წევრი



შოთა ნატროშვილი ნახშირმომპოვებელი უბნის მიწისქვეშა წმენდითი სანგრევის სამთო მუშაა. „საქნახშირში“ მუშაობა გასული წლის მარტში დაიწყო. ეს სფერო მისთვის უცხო იყო, თუმცა, მეშახტეების დახმარებით ახალ პროფესიას მალევე დაეუფლა და დღეს უკვე ერთ-ერთი საუკეთესო მეშახტეა.

შოთა დედოფლისწაყროში დაიბადა, ბავშვობა ქიზიყში გაატარა. შემდეგ, ოჯახთან ერთად რუსთავში გადავიდა საცხოვრებლად. 13 წელი ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავდა (მის მოცეკვავედ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქორეოგრაფ გოგი მარღანიას). სულ რამდენიმე წელია რაც ტყიბულში ცხოვრობს - შოთას მეუღლე ტყიბულელია და დაქორწინებისთანავე მეუღლის მშობლიურ სოფელში გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

სამთო სფეროში საქმიანობის პარალელურად, 31 წლის მეშახტე მეუღლესთან ერთად მცირე ფერმერულ მეურნეობასაც ეწევა. ახალსოფელში ისინი ნატურალურ რძის პროდუქტებს აწარმოებენ და მომავალში მეურნეობის გაფართოებასაც გეგმავენ.

შოთა ნატროშვილი: „შახტში მუშაობა საპასუხისმგებლო საქმეა, დაკვირვებით და დიდი ინტერესით შევისწავლე ყველაფერი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიყვარს ის საქმე, რასაც დღეს ვაკეთებ. სიხარულით ვმუშაობ იმიტომ, რომ ვიცი, ამას ჩემი ოჯახის კეთილდღეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მადლობელი ვარ ჩემი თანამშრომლების და ხელმძღვანელების. გულთბილად მიმიღეს, მასწავლეს და სწორი მიმართულება მომცეს.“

ირაკლი სახელაშვილი

8 წელი სამთო სფეროში

ირაკლი სახელაშვილი სულ რაღაც 20 წლის იყო შახტში რომ დაიწყო მუშაობა. წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საზღვარგარეთ იყო წასული. საბოლოოდ, ისევ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და მუშობა კვლავ „საქნახშირში“ დაიწყო. პროფესიით სამთო ელექტრო-მექანიკოსია, მან „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი“ დაამთავრა. ამჟამად საშახტო ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა მებუნკერე-გამგორედ მუშაობს.

ირაკლის მამა, გოჩა სახელაშვილი 25 წელი დამსახურებული მეშახტე იყო. იგივე შემართებითა და შრომისმოყვარეობით, ოჯახის ტრადიციას ახლა შვილი აგრძელებს. გარდა ამისა, ირაკლი აქტიურად არის ჩართული „საქნახშირის“ სპორტულ ღონისძებებში - კომპანიამ ის 2020 წელს გამართული ფეხბურთის შიდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

ირაკლი სახელაშვილი: „შახტზე შვიდი წელი ვიმუშავე, შემდეგ საზღვარგარეთ წავედი. ერთი წლის შემდეგ დავბრუნდი და ისევ „საქნახშირში“ დავიწყე მუშაობა. ჩემთვის მნიშვნელოვანია რომ ჩემს ოჯახში, ჩემს ქალაქში ვიყო. მონატრებულ ხალხთან, მეგობრებთან დაბრუნებული ყველამ დიდი სიყვარულით მიმიღო. მადლობა მინდა გადავუხადო კომპანიას ამის შესაძლებლობა რომ მომცა.“

ქალაქში ორი ახალი სპორტული მოედანი და სკვერი გაიხსნა

ტყიბულში, ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება. ქალაქს ორი სპორტული მოედანი და დასასვენებელი სივრცე შეემატა.

ბრეგვაძის ქუჩაზე ახალი სკვერი და სპორტული მოედანი გაიხსნა. აღნიშნული ტერიტორია წლების მანძილზე უფუნქციოდ იყო დარჩენილი, ახლა კი, დასასვენებელი, ბავშვთა გასართობი და სპორტული სივრცეები ერთ კომპლექსშია მოქცეული.

პროექტის ფარგლებში, გაკეთდა თანამედროვე ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი, ახალი რეკრეაციული ზონა დამცავი მოაჯირებით შემოისაზღვრა, სადაც განთავსდა საბავშვო ატრაქციონი, სპორტული ტრენაჟორები, საბაღე სკამები და ურნები. სკვერში, ასევე მოეწყო გარე განათების სისტემა და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები.

გარდა ამისა, ახობაძის ქუჩაზე ნინო გურგენიძის სახელობის სპორტული მოედანი გაიხსნა. მოედანი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, ბავშვებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

მოედანზე ხელოვნური საფარი მოეწყო, დამონტაჟდა კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და გარე განათების სისტემა. ტერიტორია შემოისაზღვრა ბადე-პანელებით.

აღნიშნულ მოედანს 19 წლის ტყიბულელი სპორტსმენის, ნინო გურგენიძის სახელი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით მიენიჭა. ის ქალთა საფეხბურთო კლუბ "მართვეს" გუნდის წევრი იყო.

აღნიშნული სპორტული მოედანი მოსახლეობის თხოვნით გაკეთდა. წელს, ბეტონის საფარით ასევე კეთილმოეწყობა ახობაძის #4 კორპუსის შიდა ეზო და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია.

ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 153 800 ლარით დაფინანსდა.

ტყიბულის თეატრმა ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა

ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში, ქართველი პოეტის, ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო ,,კაცი, რომელიც ჰგავდა თავის თავს'' გაიმართა. ტარიელ ხარხელაური ტყიბულს მეგობარ პოეტთან, ნინო ზედელაშვილთან ერთად ეწვია. მათი შემოქმედების თაყვანისმცემლებს საშუალება ჰქონდათ, ლექსები თავად ავტორებისაგან მოესმინათ.

სტუმრებს მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი მიესალმა და მათ ყვავილებთან ერთად, სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ,,თუ ვსაუბრობთ საქართველოში თანამედროვე, აღიარებულ და ყველასათვის საყვარელ პოეტზე, ეს შეფასება გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას ტარიელ ხარხელაურის მიმართ. მისი შემოქმედება გამოირჩევა საოცარი სიღრმით, სიტყვაკაზმულობითა და ეროვნულობით, სადაც განსაკუთრებულად იგრძნობა სიყვარული, სათნოება, პატრიოტული სულისკვეთება, სევდა და, ამავდროულად, იმედი" - აღნიშნა დავით ჩერქეზიშვილმა.

ტარიელ ხარხელაური არის არაერთი წიგნის ავტორი. ახლახან გამოიცა მისი ლექსების კიდევ ერთი კრებული „სამყარო ხილულ სამყაროს მიღმა," რომლის პრეზენტაციაც ტყიბულში გაიმართა.

"შერეკილების" პრემიერა ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში

ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში, ინტეგრირებული თეატრის ,,აზდაკის ბაღის" სპექტაკლის, ,,შერეკილების" პრემიერა გაიმართა. რეზო გაბრიაძის ნაწარმოების მიხედვით დადგმულისპექტაკლის სახეცვლილი ვერსია (განსხვავებული და ახლებური ხედვით) რეჟისორმა ბაჩო გაბრუაშვილმა დადგა. მისი პრემიერა სცენარის ავტორის მშობლიურ მხარეში, ტყიბულში შედგა.

ინტეგრირებული სპექტაკლი შშმ პირებსა და პროფესიონალ მსახიობს აერთიანებს, სადაც ადამიანებთან ერთად მარიონეტი შშმ თოჯინებიც თამაშობენ. სპექტაკლში პერსონაჟები თითქმის არ საუბრობენ და სათქმელს კომიკური სცენების საშუალებით გადმოსცემენ.

,,შერეკილების" პრემიერამ, რომელიც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა, ანშლაგით ჩაიარა. წარმოდგენას მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ესწრებოდნენ.

ტყიბულში აუტიზმისა და ადრეული განვითარების რეაბილიტაციის ცენტრი მოეწყობა

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საქართველოს პარლამენტის წევრმა, ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი გახსნეს. ამავე დღეს ხელი მოეწერა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელიც ტყიბულში "აუტიზმისა და ადრეული განვითარების აბილიტაცია/რეაბილიტაციის ცენტრის" მოწყობას ითვალისწინებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიასა და ა.(ა)ი.პ. „რეაბილიტაციის ცენტრი ნაიოს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და ორგანიზაციის დირექტორმა, ზაზა პატარიძემ მოაწერეს.

თანამშრომლობის მიზანია, ტყიბულის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის სისტემის განვითარების და მათ საჭიროებებზე ორიენტირებული გრძელვადიანი მომსახურებების შექმნის ხელშეწყობა, ასევე, მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ჩამოყალიბება.

ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება შშმ პირებისთვის და ომის ვეტერანებისთვის

მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ტყიბულში მცხოვრებმა შშმ პირებმა და ომის ვეტერანებმა, პროექტის „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში, ბორჯომის ადაპტირებულ საველე ბანაკში გამართულ სპორტულ აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.

ჯომარდობის, პეინტბოლის, მშვილდოსნობისა და ზიპლაინის ინტეგრირებულ ტურნირებში ტყიბულის გუნდი სხვადასხვა მუნიციპალიტეტების გუნდებთან ერთად ჩაერთო. პროექტი ახალგაზრდულმა მედია კავშირმა განახორციელა, რომელშიც 200-მდე მსურველი იღებდა მონაწილეობას. ჩემპიონატების გამარჯვებულებს ფულადი პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. პროექტი ხელს უწყობს გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 30-ე მუხლის იმპლემენტაციას.

2022 წელს ტყიბულში 79 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება!

მიმდინარე წელს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 79 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ძირითადი მიმართულება არის საგზაო ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა, სასმელი წყლის სისტემების, მრავალბინიანი კორპუსების ფასადებისა და ეზოების რეაბილიტაცია, ასევე, ტურისტული ბილიკების მოწყობა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ქალაქ ტყიბულში გამსახურდიას ქუჩის ურბანული განახლება მიმდინარეობს, ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან შენობებს კი რეაბილიტაცია უტარდება.

სამუშაოები მოიცავს შენობების არსებული კარ - ფან ჯ რის იზოპროფილის ვიტრაჟებით შეცვლას, შენობის ფასადზე თბოსაიზოლაციო კომპონენტების გაძლიერებას.



ევროკავშირის „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის“ ფარკგლებში კი, გელათის ქუჩის რევიტალიზაცია და რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კერძოდ, ისტორიულ-ურბანულ ტერიტორიაზე ეკონომიკური და ტურისტული მიზიდულობის არეალის განვითარების მხარდასაჭერად, გზის სავალი ნაწილისა და არსებული შენობების განახლება ხორციელდება. აღნიშნული პროექტი მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება და მისი ღირებულება 2 607 444 ლარს შეადგენს.

იმერეთში დამატებით 32 000 000 ლარის ღირებულების 100-მდე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება

ამის შესახებ ინფორმაცია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მუნიციპალიტეტების მერებს მიაწოდა.

სამხარეო საკოსულტაციო საბჭოს სხდომაზე იმ პროექტების შესახებ იმსჯელეს, რომლებიც 12-ვე მუნიციპალიტეტში დამატებით რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდება. გარდა ამისა, იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ რეგიონში მიმდინარე პროექტზე ისაუბრა და ამ მიმართულებით მერებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მუნიციპალიტეტების (სამტრედია ხონი, ტყიბული, ხარაგაული) მერებმა რეგიონული განვითარების ფონდში წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ იმსჯელეს. ზემოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელ პროექტებს საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

რიკოთის 4 ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალური გზის მშენებლობა აქტიურად გრძელდება!

სამშენებლო სამუშაოები ყველა გვირაბზე მიმდინარეობს. უკვე გაჭრილია 24 გვირაბი. აქედან 3 დასრულებული გვირაბი უკვე გახსნილია. სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს 88 ხიდზე, საიდანაც 30 უკვე აშენებულია, ხოლო 6 დასრულებულ ხიდზე მოძრაობა გახსნილია.

სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. “რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობა ნამდვილად საუკუნის პროექტია და აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო საგზაო დერეფნის ყველაზე გამომწვევი და მნიშვნელოვანი მონაკვეთია. სამუშაოები ყველა გვირაბზე გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. გვაქვს დასრულებული გვირაბები, რომლითაც უკვე ვსარგებლობთ. გვირაბების ნახევარი კი უკვე გაჭრილია და შესაბამისი მოსახვითი სამუშაოები ხორციელდება. ასევე, კარგი პროგრესია ხიდებთან მიმართებაშიც - მიმდინარეობს ყველაზე გრძელი, უნიკალური მეტალის ხიდის მონტაჟი” - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ რიკოთის მაგისტრალური გზის სამშენებლო სამუშაოების მონახულების შემდეგ განაცხადა.

,,ძალიან მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს, მთლიანად რიკოთის მონაკვეთზე, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ წლის ბოლომდე დამატებით კიდევ რამდენიმე კილომეტრი გავხსნათ. გზის მშენებლობის პროექტი უნდა დასრულდეს მომავალი წლის ბოლოსთვის, რაც მისცემს ჩვენს თანამოქალაქეებს საშუალებას, რომ უფრო მარტივად გადაადგილდნენ. ამასთან, გაზრდის გზის გამტარუნარიანობას, სატრანზიტო ტვირთბრუნვას და შესაბამისად, ეკონომიკური სარგებელიც ექნება ჩვენს რეგიონს” - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე მშენებლობა ურთულეს გეოგრაფიულ მარშრუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით მიმდინარეობს. მშენებლობა 4 მონაკვეთად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის 11.6 კმ-იან, ხევი-უბისას 12,2 კმ-იან, უბისა-შორაპანის 13 კმ-იან და შორაპანი-არგვეთას 14,7კმ-იან მონაკვეთებად. საერთო ჯამში, რიკოთზე დაგეგმილია 52 კმ-მდე გზის, 97 ხიდისა და 51 გვირაბის მშენებლობა.

რიკოთის საგზაო მონაკვეთი აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის (E 60-ის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი თანამედროვე სტანდარტის 4 ზოლიან ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზება გაზრდის გზის გამტარუნარიანობასა და სატრანზიტო ტვირთბრუნვას. ამასთან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი, ხოლო მგზავრობის დრო საგრძნობლად შემცირდება.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სურამში, შროშასა და ზესტაფონში მოეწყობა სპეციალური სივრცეები, სადაც მიმდებარე სოფლების მოსახლეობას საკუთარი ნაწარმის გაყიდვის საშუალება ექნება. რიკოთის პროექტებზე ამჟამად დასაქმებულია 4000-ზე მეტი ადამიანი და დასაქმებულთა დაახლოებით 68% საქართველოს მოქალაქეა.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების, რომლის ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, ეტაპობრივად 2023 წელს დასრულდება.

გომი - საჩხერე - ჭიათურა - ზესტაფონის საავტომობილო გზას რეაბილიტაცია უტარდება

სამუშაოები 3 ლოტად, გზის 32.5 კმ-იან მონაკვეთზე ხორციელდება. სარეაბილიტაციო მონაკვეთი ჭიათურაში იწყება და ზესტაფონში სრულდება. განახლებული გზა ჭიათურასა და ზესტაფონს უმოკლესი გზით დააკავშირებს.

ჭიათურა-ზესტაფონის მონაკვეთზე გზის საფარი მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული, ასევე მრავლად იყო დამეწყრილი ადგილები, რაც ავტოტრანსპორტის გადაადგილებას ართულებდა. ამჟამად, 16 სხვადასხვა მონაკვეთზე არსებული დამეწყრილი უბნების რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება გზის სავალი ნაწილი, მოეწყობა ახალი წყალარინების სისტემა, გზის საყრდენი კედლები, ადგილობრივ გზებთან მიერთებები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით მოეწყობა ახალი საგზაო ნიშნები და თვალამრიდები, განხორციელდება გზის სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა.

,,საგზაო პროექტები, მთელი საქართველოს მასშტაბით, აქტიური ტემპით მიმდინარეობს. წელს, დაახლოებით, 600 კილომეტრი გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, რაც წარმატებით ხორციელდება. ახლა ვიმყოფებით გომი-საჩხერე-ჭიათურის 11 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც მიმდინარეობს საფუძვლის მოწყობის სამუშაოები და სექტემბერში უკვე მთლიანად 11-ვე კილომეტრი იქნება დასრულებული. გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის გზა, აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრალურ მაგისტრალზე, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის ერთ-ერთი ძირითადი ალტერნატივაა და მის გამართულ ექსპლუატაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თუ სატრანზიტო ტრანსპორტის უწყვეტი გადაადგილებისათვის. ამასთან, ეს გზა, 3 მუნიციპალიტეტს ერთმანეთთან და გზის მიმდებარე სოფლებს რაიონულ ცენტრთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს. ამავდროულად, სახელშეკრულებო პროცედურები მიმდინარეობს კიდევ მეორე, დაახლოებით 9 კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც ასევე რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდება და გაისად დასრულდება. მიმდინარეობს სამუშაოები მეწყრული მონაკვეთების ლიკვიდაციაზე და მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ გომი-საჩხერე-ჭიათურის მიმართულება სრულად იქნება რეაბილიტირებული როგორც საფარის, პარამეტრების, ასევე საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვით “- ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

ზვიად შალამბერიძემ ტყიბულში მიმდინარე და დასრულებული პროექტები მოინახულა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და გუბერნატორის პირველი მოადგილე ლევან სანიკიძე, ტყიბულის მერთან ერთად, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებულ პროექტებს ადგილზე გაეცნენ.

,,ტყიბულის მუნიციპალიტეტში ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა ღირებულება 10 000 000 ლარამდეა. პროექტების დასრულების შედეგად მუნიციპალიტეტი მიიღებს განახლებულ ცენტრს, ქუჩებს და ახალ ტურისტულ ლოკაციებს“ - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდისა და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დაფინანსებით სხვადასხვა პროექტი ხორციელდება. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ცირეკიძისა და რუსთაველის ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ასევე, ისტორიულ ურბანულ ტერიტორიაზე ეკონომიკური და ტურისტული მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, გელათის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილისა და არსებული შენობების რევიტალიზაციის სამუშაოები ხორციელდება. აღნიშნულ პროექტები ევროკავშირის მიერ ფინანსდება.

ასევე, ევროკავშირის დაფინანსებით ტყიბულში, უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის იწყება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცხრაჯვარიდან სოფელ ძმუისის კანიონამდე და ცხრაჯვარის სალოცავამდე ტურისტული ბილიკების მოწყობას.

მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულმა მრავალბინიანი კორპუსების გარე ფასადების რეაბილიტაციის პროექტიც დაათვალიერა, რომელსაც რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს.

ტყიბულის „მეშახტე“ 2022 წლის სეზონის პირველ წრეშია

საქართველოს ჩემპიონატის ლიგა 3-ის პირველი წრე დასრულა! ტყიბულის მეშახტეს 15 შეხვედრაში 6 მოგება, 3 ფრე და 6 წაგება ჰქონდა, გატანილი გოლები კი 14:14. ტყიბულელთა მეკარემ, თორნიკე გეგუჩაძემ ჩემპიონატის 16 გუნდის მონაწილეებს შორის საუკეთესო თამაში აჩვენა. 7 შეხვედრაში მან კარის მშრალად შენახვა და ასევე, 1 თერთმეტმეტრიანის მოგერიება შეძლო.

4 გატანილი გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი საბა ბაღდავაძე გახდა. ყველაზე მეტი, 4 საგოლე გადაცემა კი გიორგი ვაზაგაშვილს ეკუთვნის.

18 აგვისტოს მეორე წრე დაიწყება. „მეშახტე“ საკუთარ მოედანზე თბილისის „საბურთალო2“-ს უმასპინძლებს.

ილია სულამანიძე ზაგრების გრან პრის ვიცეჩემპიონია

15-17 ივლისს, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ გრან პრიზე, ტყიბულელმა ილია სულამანიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. ფინალამდე მან ყველა შეხვედრა იპონით მოიგო, ფინალში კი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ძიუდოისტთან, ნიდერლანდელ მაიკლ კორელთან დრამატულ ბრძოლაში, დამატებით დროში დამარცხდა.

მეშახტეებს შორის სპორტული თევზაობის შეჯიბრი ჩატარდა!

"საქნახშირის" ადმინისტრაციის ინიციატივით, მეშახტეებს შორის სპორტული თევზაობის შეჯიბრი ტრადიციად იქცა - ღონისძიება მესამე წელია, პეტრე-პავლობის მარხვის დასრულების შემდეგ, პირველივე უქმეებზე იმართება. შეჯიბრი დილის 6 საათზე დაიწყო და გამარჯვებულების გამოვლენის შემდეგ, ტრადიციულად, პიკნიკით გაგრძელდა.

ადგილები ასე გადანაწილდა:

I ადგილი - ზურაბ ტალახაძე (5.200 კგ.)

II ადგილი - დავით გვეტაძე (4.850 კგ.)

III ადგილი - როინ კაკოიშვილი (4.500 კგ.)

„საქნახშირის“ ადმინისტრაციამ თითოეულ გამარჯვებულს ფულადი ჯილდო გადასცა.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში, ზვიად შალამბერიძე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ.



ჩვენ ერთად ვქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს

“ სამუშაო ადგილზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა და საწარმოს ტერიტორიაზე ალკოჰოლის მიღება დაუშვებელია.

ეს საფრთხეს უქმნის თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. **”**

გიორგი ხონელიძე 〉 ნახშირმომპოვებელი უბნის მიწისქვეშა გამყვანი

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

ივლისი | 2022 | №19

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri